

## სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 04 აპრილის N21/2334 ხარვეზის წერილის შესაბამისად წარმოადგენთ ქ.ზესტაფონში სერგო ზაქარიადის ქ. N 41-ში (საკ. კოდ. 32.10.41.125) ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ 1800104204) სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს შენიშვნების გათვალისწინებით

აღნიშნული ხარვეზის წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც სკრინინგის ანგარიშით, ასევე პუნქტობრივად:

1. წერილის პირველი პუნქტის შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამსხვრევი დანადგარი უკვე განთავსებულია მდ. ყვირილადან 48 მეტრში. შესაბამისად, აღნიშნული სამსხვრევი დანადგარი ექცევა მდ. ყვირილას (სიგრძე 140 კმ) წყალდაცვით ზოლში (50 მ), რაც არ შეესაბამება „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მოთხოვნებს;

**პასუხი:** აღნიშნულ ტერიტორიაზე საწარმო (ქვისა სახერხი დასამსხვრევიმოწყობილია წლების წინ 1990 წელს და წარმოადგენდა შპს „ტევრის საშენმასალათა კომბინატი“ საკუთრებას, რომლის დირექტორი იყო თეიმურა ჭანკოტაძე, რომელმაც 1992-1993 წლებში პრივატიზაციის წესით შეისყიდა და გადმოეცა საკუთრებაში. საწარმო მოწყობილია კაპიტალურად და დღემდე ინფრასტრუქტურული ცვლილებები (დანადგარების გადანაცვლება, ტექნოლოგიური გადაიარაღება ან/და სხვა) არ განუხორციელებია. 2022 წლამდე საწარმო იყო უმოქმედო მდგომარეობაში. საწარმოს განთავსების ადგილი გასული წლებიდან მოქცეულია წყალდაცვით ზოლში და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების შესაბამისად წარმოადგენს წყალდაცვით ზოლში უკვე არსებულ (მოქცეულ) საწარმოს. ამავე რეგლამენტის 3-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია: ა) **მშენებლობა** ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, რაც ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძეს არ აქვს დაგეგმილი,

ასევე მე-3-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის შესაბამისად: წყალდაცვით ზოლში დაშვებულია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება/მოდერნიზაცია.

მიუხედავად იმისა რომ წყალდაცვით ზოლში ექცევა საპროექტო ტერიტორია, საწარმოში არ მოხდება ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამსხვრევი დანადგარი უკვე დამონტაჟებულია და არ საჭიროებს ფართო სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი, რაც გამორიცხავს წყლის ობიექტის დაბინძურებას.

ამასთან ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი ((საკ. კოდ. 32.10.41.125) მთლიანად მოქცეულია წყალდაცვით ზონაში, ამდენად სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილიდან სხვა ტერიტორიაზე გადატანა გამოიწვევს დამატებითი ფინანსური და ბუნებრივი რესურსების ხარჯებს.

ამდენად, საწარმოს ექსპლუატაციისას არ იქნება დარღვეული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 რეგლამენტის პირობები.

**2. წერილის მეორე პუნქტი:** სკრინინგის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №41-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.10.41.125). ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის სახერხი საამქრო. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობისათვის გატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიება. გაცნობებთ, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციისა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის №4/232 განჩინების შესაბამისად, 2022 წლის 17 მაისს, ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში გამოვლენილი იქნა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ქვის სახერხი საამქრო, რომელიც ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშის შეთანხმების გარეშე. აღნიშნულ ფაქტზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 17 მაისს შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №070818 ოქმი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ქვის სახერხი საამქროს ადგილმდებარეობისა და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობისათვის დაჯარიმების შესახებ;

**პასუხი:** ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №41-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 32.10.41.125) წსრმოადგენს ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საკორეზას. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ქვის სველი მეთოდით ხერხვის საწარმოო შენობა და ქვის სამსხვრევი აგრეგატი. ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისის სამსახურის მიერ განხორციელდა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ორივე საწარმოს შემოწმება (ქვის სახერხი და სამსხვრევი). შემოწმების დროს სამსხვრევე დამახარისხებელი საამქრო არ ფუნქციონირებდა. დარღვევა გამოვლინდა ქვის სახერხ საამქროში, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება;

**3. წერილის მესამე პუნქტი:** სკრინინგის განცხადების თანახმად, სამსხვრევი დანადგარიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 100 მეტრს, ამასთან, მიმდებარედ განთავსებულია სხვა საცხოვრებელი სახლებიც. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით აღნიშნული საცხოვრებელი სახლების (საპროექტო ტერიტორიიდან დამორების მანძილების მითითებით) მესაკუთრეებთან კომუნიკაციის ამსახველ ინფორმაციას;

**პასუხი:** საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ასევე განთავსებულია, მარიამ ამილახვარის (საკ. კოდი 32.10. 41.458) 120 მ მანძილის მოშორებით და დავით ექსეულიძის (საკ. კოდი :32.10 41.177) 150 მ მოშორებით საცხოვრებელ სახლები.

დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლების მეპატრონეების მოსაზრებები საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით.

**4. წერილის მეოთხე პუნქტი:** წარმოდგენილ დოკუმენტში, სხვადასხვა ადგილას მითითებულია გადასამუშავებელი ნედლეულის სხვადასხვა დასახელება, რაც საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;

**პასუხი:** სამსხვრევი \_ საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტემენიტის ქვის ნატეხებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და დაიყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით. აღნიშნული მითითებულია დოკუმენტში.

**5. წერილის მეხუთე პუნქტი:** ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე ხორციელდება როგორც სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, ისე ქვის ხერხვა სველი მეთოდით, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს ორივე საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის (100 მ) გათვალისწინებით (აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენილ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშშიც, რომელზეც სააგენტო იმსჯელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არდაქვემდებარების შემთხვევაში სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის შემდგომ);

**პასუხი:** სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილია ქვის სახერხი საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება

**6. წერილის მეექვსე პუნქტი:** სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამსხვრევი დანადგარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით, თუმცა ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაანგარიშება შესრულებულია 110 მეტრი მანძილისთვის, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

**პასუხი:** ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაანგარიშება შესრულებულია 100 მეტრი მანძილისთვის,

**7. წერილის მეშვიდე პუნქტი:** მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (ს/კ: 32.19.31.248; 32.10.41.322; 32.10.41.096; 32.10.41.262; 32.19.31.275) განთავსებულია სხვადასხვა საწარმოო ობიექტები. შესაბამისად, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (100 მ) დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

**პასუხი:** საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (ს/კ: 32.19.31.248; 32.10.41.322; 32.10.41.096; 32.10.41.262; 32.19.31.275 აღნიშნულ საკადასტრო კოდეზზე განთავსებულია ჩინური კომპანიების სამშენებლო ტექნიკა და ინფრასტრუქტურული ობიექტები, სამშენებლო მოედანი, სანაყარო და სხვა, რაც განკუთვნილია ავტობანის სამშენებლო სამუშაოებისათვის. აღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტები მოწობილია შესაბამისი ნებართვების/პროექტების და გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის საფუძველზე. ი.მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საწარმოდან აღნიშნული ობიექტები დამორებულია 500 მ მანძილით. (დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილია ფოტო მასალა).

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია sph ფაილებთან ერთად

პატივისცემით,  
ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე

05.05.2023 წელი



N 21/2334  
04/04/2023

2334-21-2-202304041652



ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძეს  
მის: ქ. ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის №41  
ელ. ფოსტა: [znzn63@mail.ru](mailto:znzn63@mail.ru)

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1825 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №41-ში სასარგებლო წიაღისეულის (გრანიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამსხვრევი დანადგარი უკვე განთავსებულია მდ. ყვირილადან 48 მეტრში. შესაბამისად, აღნიშნული სამსხვრევი დანადგარი ექცევა მდ. ყვირილას (სიგრძე 140 კმ) წყალდაცვით ზოლში (50 მ), რაც არ შეესაბამება „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მოთხოვნებს;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №41-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.10.41.125). ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის სახერხი საამქრო. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობისათვის გატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიება. გაცნობებთ, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციისა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის №4/232 განჩინების შესაბამისად, 2022 წლის 17 მაისს, ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში გამოვლენილი იქნა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ქვის სახერხი საამქრო,

რომელიც ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშის შეთანხმების გარეშე. აღნიშნულ ფაქტზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 17 მაისს შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №070818 ოქმი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ქვის სახერხი საამქროს ადგილმდებარეობისა და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობისათვის დაჯარიმების შესახებ;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამსხვრევი დანადგარიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 100 მეტრს, ამასთან, მიმდებარედ განთავსებულია სხვა საცხოვრებელი სახლებიც. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით აღნიშნული საცხოვრებელი სახლების (საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილების მითითებით) მესაკუთრეებთან კომუნიკაციის ამსახველ ინფორმაციას;
- წარმოდგენილ დოკუმენტში, სხვადასხვა ადგილას მითითებულია გადასამუშავებელი ნედლეულის სხვადასხვა დასახელება, რაც საჭიროებს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე ხორციელდება როგორც სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება, ისე ქვის ხერხვა სველი მეთოდით, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს ორივე საწარმოს ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილის (100 მ) გათვალისწინებით (აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენილ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშშიც, რომელზეც სააგენტო იმსჯელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არდაქვემდებარების შემთხვევაში სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის შემდგომ);
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამსხვრევი დანადგარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 100 მეტრით, თუმცა ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების გაანგარიშება შესრულებულია 110 მეტრი მანძილისთვის, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (ს/კ: 32.19.31.248; 32.10.41.322; 32.10.41.096; 32.10.41.262; 32.19.31.275) განთავსებულია სხვადასხვა საწარმოო ობიექტები. შესაბამისად, დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (100 მ) დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძე

ქ. ზესტაფონი სერგო ზაქარიაძის ქ N41

ქვის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს  
ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში

ქ. ქუთაისი 2023 წელი



## შინაარსი

შესავალი -----	გვ. 3-4
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ -----	გვ.4-8
2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საქმიანობის ზოგადი აღწერა-----	გვ.5-9
3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურა-----	გვ.9-12
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება -----	გვ. 12
5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება -----	გვ. 13-14
6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება -----	გვ.14
7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე - -----	გვ. 15
8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრექვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები -----	გვ 15-17
9. ატმოსფერულ ჰაერში გაფრექვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში გვ	17-23
10. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება -----	გვ. 24-26
11. ნიადაგი, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება-----	გვ.26-27
12. საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი -----	გვ. 27
13. ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე -----	გვ. 27
14. ბოილოგიურ გარემოზე ზემოქმედება -----	გვ. 28
15. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბოილოგიურ გარემოზე -----	გვ. 28-29
16. ნარჩენების წარმოქმნა და მართვა -----	გვ.30
17. ზემომქედება ადამინაის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე -----	გვ. 30-31
18. კუმულაციური ზემოქმედება -----	გვ.30-31
19. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემომქედება -----	გვ. 31-32
დანართი-----	გვ.32
• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხელშეკრულებები	
• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა	
• ამონაწერები სამეწამრეო და საჯარო რეესტრიდან	
• ფოტო მასალა, სხვა დოკუმენტაცია	

## შესავალი

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ეხება ქ. ზესტაფონში სერგო ზაქარიაძის ქ. N 41-ში (საკ. კოდ: 32.10.41.125) ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ 1800104204) სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვის) გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის №41-ში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 32.10.41.125) წარმოდგენს ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საკორექტივო. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ქვის სველი მეთოდით ხერხვის საწარმოო შენობა და ქვის სამსხვრევი აგრეგატი. ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისის სამსახურის მიერ განხორციელდა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ორივე საწარმოს შემოწმება (ქვის სახერხი და სამსხვრევი). შემოწმების დროს სამსხვრევ დამახარისხებელი საამქრო არ ფუნქციონირებდა. დარღვევა გამოვლინდა ქვის სახერხ საამქროში, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება;

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით რომ საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის მიერ დადგენილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვის დამტრევა) საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შედეგებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

**1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ**

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1

<b>ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ</b>	
საქმიანობის განმახორციელებელი	ი/მ თეიმურა ჭანკოტაძე
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 18001042013)
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ზესტაფონი ბიბილაშვილის ქ N2ბ. 48
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	ქ. ზესტაფონი სერგო ზაქარიაძის ქ N41 (საკ. კოდი: 32.10.41.125)
საქმიანობის სახე	სამშენებლო ინერტული მასალების წარმოება - სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება
დირექტორი	თეიმურაზ ჭანკოტაძე
საკონტაქტო ტელეფონი	598 83 14 24
ელექტრონული ფოსტა	znz63@mail.ru
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსპაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591 97 50 90
<b>დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები</b>	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ზესტაფონი სერგო ზაქარიაძის N 41
განთავსების ადგილის კოორდინატი	X-339808 , Y-4662860
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	<b>0.100კმ</b>
<b>საპროექტო წარმადობა</b>	
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ქვიშა-ღორღი (0-20მმ)
საპროექტო წარმადობა	1536ტ/წელიწადში (1,6მ <sup>3</sup> /წელ)
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	ტემენიტის ქვის ნატეხები 1536ტ/ წელ
მეთოდი	მშრალი, პირველადი მსხვრევა
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	<b>120დღე/წელ</b>
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	<b>8სთ/წელ</b>

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	339803	4662870
2	339830	4662887
3	339831	4662862
4	339807	4662858

## 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის (ს/კ18001042013) კუთვნილი სამსხვრევი საწარმო მდებარეობს ქ. ზესტაფონში, სერგო ზაქარიაძის ქ. N41. (საკადასტრო კოდი: 32.10.41.125). არასასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწის ნაკვეთზე.

საწარმოო ტერიტორიის ფართი შეადგენს 599,00 კვ.მ -ს, სადაც განთავსებულია ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის საკუთრებაში არსებული ქვის სველი მეთოდით სახერხი სააქმრო ( ენობის ფართი 233,54 კვ.მია) და ღია ცისქვეშ ქვის სამსხვრევი აგრეგატი (GPS კოორდინატი: X -339808 Y -4662860), ქვის სახერხი საწარმო მოწყობილია გასულ წლებში, ქვის სახერხი საამქოს ფუნქციონირება დაწყებული აქვს 2022 წლის იანვრის თვიდან. ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძეს დაგეგმილი აქვს სამსხვრევი აგრეგატის ექსპლუატაცია.

პროექტით გათვალისწინებულ სამსხვრევ დანადგარზე განხორციელდება ქვის სახერ საამქროში გრანიტის ქვის სველი მეთოდით დახერხვის შემდეგ მიღებული ჩამონახერხი ქვის ნატეხების დამსხვრევა.

სამსხვრევ დანადგარში განხორციელდება ინერტული მასალის მსხვრევა მშრალი მეთოდით და ერთი ფრაქციის (0-20მმ) ქვიშა-ღორღის მიღება.

საწარმოს საპორექტო წარმადობა შეადგენს 1536 ტ ღორღის წარმოება წელიწადში (1,6 ტ/სთ).

სამსხვრევი საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტემენიტის ქვის ნატეხებს, რომელიც სააქმროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ ) ჩამოყრა.

ცხაურზე დარცენილი მსხვილი ზომის ქვა უბრუნდება სასმხვრევ დანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხაურს და ეს პორცესი მეორედაბ უწყვეტლივ.

საწარმოს წელიწადსი გათვალისწინებული აქვს 1536 ტ ინერტული მასალის წარმოება. საწარმო წელიწადში მუშაობს 120 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. საამქროში დასაქმებული იქნება არაუმეტეს ორი ადამიანი (კაცი).

აღნიშნული რაოდენობის პორდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება ნედლეული 1536 ტ ტემენიტის ნარჩენი.

სამსხვრევ საწარმოს სამეწამრეო დანიშნულებით წყალი არ ესაჭიროება, მსხვრევის პროცესი მიმდინარეობს მშრალი მეთოდით.

ობიექტიდან სამსხრეთით, უახლოესი დასახლებული პუნქტი ქ. ზესტაფონის და მასში არსებული უახლოესი მოქ. კახაბერ პაქსადის საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდო: 32.10.41.465) დაშორებულია 100 მეტრით, ხოლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საპორექტო ტერიტორიას ესაზღვრება კერძო საკრებაში არსებული განაშენიანებული მიწის ნაკვეთი.

საპორექტო ტერიტორიის მიმდებარედ ასევე განთასვებულია, მარიამ ამილახვარის (საკ. კოდი 32.10. 41.458) 120 მ მანძილის მოშორებით და დავით ექსეულიძის (საკ. კოდი :32.10 41.177) 150 მ მოშორებით საცხოვრებელ სახლები.

საპორექტო ტერიტორიიდან ჩრდილოეთით მიედინება მდ. ყვირილა, დაშორება სამსხვრევი დანადგარიდან (GPS კოორდინატი: X-339808, Y -4662860) მდ. ყვირილას კალაპოტამდე პირდაპირი მანძილი არის 48მ, რელიეფის გათვალისწინებით ტექნოლოგიური დანადგარისა და მდინარის კალაპოტს შორის ფაქტიურად მანძილი არის 80 მეტრი. მდინარესა და სამსხვრევ დანადგარს შორის მდებარეობს ქვის სახერხი სააქმროს შენობა - ნაგებობა

*„წყალდაცვითი ზოლის შესაბენ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების 3-ე მუხლის შესაბამისად:*

1. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია:

ა) მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;

ბ) საჰაერო დაფრქვევის გზით მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შხამქიმიკატებით შეწამვლა;

გ) მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა;

დ) ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების, აგრეთვე ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენება და მათი შესანახი საწყობების განთავსება;

ე) სასაფლაოებისა და ცხოველთა სამარხების მოწყობა;

ვ) სატრანსპორტო და სხვა ტექნიკური საშუალებების რეცხვა;

ზ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავი ობიექტების (გარდა შიდა წყლის ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების საწყობებისა), ავტოგასამართი სადგურების, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ობიექტების აგება;

თ) მეცხოველეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმების, ობიექტების, კომპლექსების, მათ შორის, ნაკელსაცავებისა და წუნწუხშემკრებების აგება;

ი) ხემცენარეების ჭრა, გადარგვა და გატანა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი პროექტის ან/და თანხმობის გარეშე.

2. წყალდაცვით ზოლში დაშვებული არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება/მოდერნიზაცია.

მიუხედავად იმისა რომ წყალდაცვით ზოლში ექცევა საპროექტო ტერიტორია, საწარმოში არ მოხდება ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამსხვრევი დანადგარი უკვე დამონტაჟებულია და არ საჭიროებს ფართო სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი, რაც გამორიცხავს წყლის ობიექტის დაბინძურებას.

ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი სტანდარტები და ნორმები. საწარმოს ტერიტორიაზე საპირფარეშო დაკავშირებული იქნება სეპტიკურ ავზთან, სეპტიკური ავზის დასუფთავებას უზრუნველყოფს ადგილობრივი კვალიფიციური კომპანია. რაც ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკებს მინიმუმამდე შეამცირებს. პროექტის განხორციელების ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი მინიმალური იქნება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე საწარმო (ქვის სახერხი დასამსხვრევი მოწყობილია წლების წინ 1990 წელს და წარმოადგენდა შპს „ტევრის საშენმასალათა კომბინატის“ საკუთრებას, რომლის დირექტორი იყო თეიმურა ჭანკოტაძე, რომელმაც 1992-1993 წლებში პრივატიზაციის წესით შეისყიდა და გადმოეცა საკუთრებაში. საწარმო მოწყობილია კაპიტალურად და დღემდე ინფრასტრუქტურული ცვლილებები (დანადგარების გადანაცვლება, ტექნოლოგიური გადაიარაღება ან/და სხვა) არ განუხორციელებია. 2022 წლამდე საწარმო იყო უმოქმედო მდგომარეობაში. საწარმოს განთავსების ადგილი გასული წლებიდან მოქცეულია წყალდაცვით ზოლში და „წყალდაცვითი ზოლის შესაბენ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების შესაბამისად წარმოადგენს წყალდაცვით ზოლში უკვე არსებულ (მოქცეულ) საწარმოს. ამავე რეგლამენტის 3-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია: ა) მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, რაც ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძეს არ აქვს დაგეგმილი,

ასევე მე-3-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის შესაბამისად: წყალდაცვით ზოლში დაშვებულია არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, თუ ის მიერთებულია კანალიზაციის ცენტრალიზებულ სისტემასთან ან აღჭურვილია/აღიჭურვება შესაბამისი რეზერვუარებით ან/და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო სისტემებით ან/და სხვა მოწყობილობებით, რომლებიც გამორიცხავენ წყლის ობიექტის დაბინძურებასა და დანაგვიანებას, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება/მოდერნიზაცია.

მიუხედავად იმისა რომ წყალდაცვით ზოლში ექცევა საპროექტო ტერიტორია, საწარმოში არ მოხდება ექსპლუატაციის პირობის/ტექნოლოგიური სქემის ცვლილება, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სამსხვრევი დანადგარი უკვე დამონტაჟებულია და არ საჭიროებს ფართო სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარი, რაც გამორიცხავს წყლის ობიექტის დაბინძურებას.

ამასთან ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი ((საკ. კოდ. 32.10.41.125) მთლიანად მოქცეულია წყალდაცვით ზონაში, ამდენად სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილიდან სხვა ტერიტორიაზე გადატანა გამოიწვევს დამატებითი ფინანსური და ბუნებრივი რესურსების ხარჯებს.

ამდენად, საწარმოს ექსპლუატაციისას არ იქნება დარვეული რეგლამენტის პირობები.

ობიექტიდან სამხრეთით დაგის ცენტრალური ავტომანქანისტრასა დაახლოებით 55 მ-ში, ხოლო ჩრდილოეთით 180 მ-ში გადის რკინიგზის ხაზი

ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის გზა, რომლის სიღრმე არის 55 მ.

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით განთავსებულია ავტობანის სამშენებლო ინფრასტრუქტურული ობიექტები.

### **3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები**

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი განხორციელდება მშრალი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს:

- ყბებიანი სამსხვრევი - 1 ერთი (ტიპი CMD-106) წარმადობა 5-14მ<sup>3</sup> /სთ. ძრავის სიმძლავრე 30კვტ. წონა 5,6ტ;
- ლენტური ტრანსპორტიორი (ჯამური სიგრძე 12მ. სიგანე 0,4მ),
- მბრუნავი ცხავი 1 ერთი (ერთბადიანი, ძრავის სიმძლავრე 12 კვტ)
- ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები.

საწარმოში ასევე საჭიროებს შემთხვევაში ხორციელდება ელ. შედურების სამუშაოები სამსხვრევი დანადგარის და მისი ნაწილების შეკეთების დროს.

*განგაროშებაში შეტანილია სამსხვრევი დანადგარისა და მისი ნაწილების შეკეთებისას ელექტრო შედურების (ხელის შესადულებელი აპარატი (ცალობითი ელექტროდებით) სამუშაოებისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებები.*



სამსხვრევ საწარმოსნედლეულად გამოყენებული იქნება ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძის კუთვნილი ქვის (სველი მეთოდით) სახერხი საამქროში წარმოქმნილი ტეშენიტის ქვის ნატეხები, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ) ჩამოყრა. ცხაურზე დარჩენილი მხსვილი ზომის ქვა – ლენტური ტრანსპორტირით უბრუნდება სამსხვრევ დანადგარს. დამსხვრევის შემდეგ კი ისევ ცხაურს და ეს პროცესი მეორდება უწყვეტლივ.

ამდენად, სამსხვრევი დანადგარში ინერტული მასალის მსხვრევა მიმდინარეობს მშრალი მეთოდით და ხორციელდება ერთი ფრაქციის ( 0-20მმ) ქვიშა-ღორღის მიღება.

საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 1536 ტ ღორღის წარმოება წელიწადში, (1,6 ტ/სთ).

ამდენად, სამსხვრევი საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული ტეშენიტის ქვის ნატეხებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად ღია საწყობიდან ნედლეული ხელით პირდაპირ იყრება ყბებიან სამსხვრევში. სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის (00-20მმ) ჩამოყრა ღია საწყობზე. აქედან ხდება მიღებული პროდუქციის ტომრებში ჩაყრა და რეალიზაცია.

ქვის (ტემენიტის) სველი წესით ხერხვის ხაზი შედგება შემდეგი სახის დანადგარებისაგან :

- ქვის საჭრელი დაზგა 1600 მმ - იანი დიამეტრის ხერხით - 1ც
- ქვის საჭრელი მრგვალხელხრა 1800მმ-იანი დიამეტრის ხერხი -3ც
- ქვის ჩამოსაგანი ჩარხი - 1 ცალი
- საპრიალებელი დაზგა -1 ცალი

ქვის სახერხი დანადგარები დამონტაჟებული შენობა-ნაგებობაში. შენობა არის ერთ სართულიანი, მისი ფართობი შეადგენს 100-კვ.მ-ს. ტექნოლოგიური პროცესი - ქვის ხერხვა და ფორმირება მიმდინარეობს დახურულ შენობაში.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად: საწარმოში ნედლეული ტემენიტის ქვა (ლოდები) შემოიზიდება თვითმცლელელების მეშვეობით და განთავსდება ნედლეულის ბაქანზე შენობის გადახურუნ ნაწილში. ტელფერის საშუალებით ბაქნიდან დასახერხი ქვა (ლოდი) საჭირო ზომის გათვალისწინებთ მიეწოდება ქვის სახერხ დანადგარებს, სადაც ხდება მათი ფორმირება და სასურველ ზომებზე დახერხვა. საბოლოო სახეს პროდუქცია იღებს ქვის ჩამოსაგან დანადგარებზე. პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით. ამოხერხილი ფილებისა და ბლოკების გაპრიალება ხდება საპრიალებელ დაზგებზე. ტექნოლოგიური პროცესი სველია.

ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენეთ არსებულ საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია.

საწარმოს ფუნქციონირებისას (ქვის ხერხვის დროს) წარმოემქნება - ტემენიტის (სველი) მეთოდით ხერხვის შედეგად დარჩენილი ქვის ნატეხები, რომლის მსხვრევა დახარისხება დაგეგმილია სამსხვევ დაანადგარში - ყბებიან სამსხვრეველაში.

ქვის სველი ხერხვის დროს წარმომქნილი ნატეხები საწყობდება შენობის გარეთ, ღია საწყობზე.

ხერხვა - მიმდინარეობს სველი მეთოდით. ხერხვის დროს საჭირო წყლით მომარაგება ხორციელდება ზედაპირული წყლის ობიექტიდამ მდ. ყვირილადან (კოორდინატი: X-339825, Y-4662909). აღნიშნულ წერტილში დამონტაჟებულია წყლის ტუმბო სიმძლავრით

12 მ<sup>3</sup>/სთ და 90 მეტრი სიგრძისა და 110 მმ დიამეტრის პლასტმასის მილით მიეწოდება სახერხ დანადგარებს. ქვის დამუშავებისას გამოყენებულია წყალმომარაგების წრიული სისტემა. ხერხვის დროს წარმოქნილი საწარმო წყალი გრუნტის არხის საშუალებით საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი გრუნტის სალექარში, რომლის ტევადობაა 8 კუბ.მ, მისი გაბარიტებია: სიგრძე 3მ, სიგანე- 3მ, სიღრმე - 1მ, მთლიანი მოცულობა 9 კუბ.მ, სასარგებლო მოცულობა 8 კუბ.მ ამავე სალექარში მოხდება ატმოსფერული ნალექების სანიაღვრე წყლების შეკრებაც.

ამდენად, მდ. ყვირილაში საწარმოო გამოყენებული წყლების და სანიაღვრე წყლების ჩაშვება არ მოხდება.

ჩამდინარე წყლის სალექარის ექსპლუატაციის შედეგად წარმოიქმნება შლამი, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალების წარმოებაში, ბეტონის ხსნარზე დასამატებლად. შლამების გაუწყლოება მონდება სალექარის მიმდებარედ, შლამის ბაქანზე, გაუწყლოების შემდეგ რეალიზდება სამშენებლო ბლოკის მწარმოებლებზე,

#### **4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება**

სამსხვრევი – საწარმო ნედლეულად გამოიყენებს სახერხში ქვის დახერხვის შედეგად მიღებული - ტეშენიტის ქვის ნატეხებს, რომელიც საამქროდან გამოიზიდება ხელით და იყრება დროებით ღია ღია სასაწყობო მოედანზე, საამქროს შენობის გვერდით.

საწარმოში მხოლოდ პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს უკავშირდება 55მ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპორექტო წარმადობა საათში შეადგენს 1,6 ტ/სთ, რაც საშუალოდ შეადგენს არაუმეტეს 2 გადაზიდვას დღეში. წელიწადში 240 გადაზიდვას. ტრანსპორტირების საშუალო მანძილი შეადგენს 0,5-4 კმ-ს. ავტომანქანის გადაადგილება ხდება გრუნტის გზაზე, რომელიც უერთდება ავტომაგისტრალს ავტომაგისტრალამდე ტრანსპორტირების მარშუტი არ გადის დასახლებულ პუნქტში.

საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

## 5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

ქვიშა-ხრემის სამსხვრევ საწარმოს საწარმოო დანიშნულების წყალი არ ესაჭიროება.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება არაუმეტეს ორი კაცი, რომლებიც იმუშავებენ დღეში ერთცვლიანი 8სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. წელიწადში 120 სამუშაო დღის და ერთცვლიანი 8 სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:

$$2 \times 45 = 90 \text{ ლ/დღეში, ანუ } 0,09 \text{ მ}^3/\text{დღეში,} \\ 0,09 \text{ მ}^3 \times 120 \text{ დღე} = 10,83 \text{ /წელ}$$

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში 1 კუბ.მ-ს დასაშვებია ამოსანიჩბი ორმოს მოწყობა.

საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ საწარმოს საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მისაღებად გათვალისწინებულია საპირფარეოს მოწყობა ჰერმეტიკულ ბეტონის ავზზე, ტევადობით 1 კუბ.მ, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება საასენიზაციო ავტომანქანით ხელშეკრულების საფუძველზე.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების დროს.

საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია – ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

სადაც,

$$Q = 10 \times F \times H \times K \text{ მ}^3/\text{წელ}$$

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ<sup>3</sup> /დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,0599 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (ონის რაიონში ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1190 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11მმ) K-კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრემის საფარისთვის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენიანია:

$$Q_{წელ} = 10 \times 0,0599 \times 1190 \times 0,04 = 28,51 \text{ მ3 /წელ}$$

$$Q_{სთ} = 10 \times 0,0599 \times 11 \times 0,04 = 0,22 \text{ მ3 /სთ}$$

სანიაღვრე წყლების მაქსიმალური დღე-ღამური მოცულობა იქნება 0,67 კუბ.მ დღ/ღამ. მაქსიმალური საათური ხარჯი (წვიმის საშუალო ხანგრძლივობად ვიღებთ 4საათს) იქნება 0,16კუბ.მ .

სანიაღვრე წყლების მისაღებად საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია გრუნტის ავზი, ტევადობით 8 კუბ.მ, მისი გაბარიტებია: სიგრძე 3მ, სიგანე- 3მ, სიღრმე - 1მ, მთლიანი მოცულობა 9 კუბ.მ, სასარგებლო მოცულობა 8 კუბ.მ აქ შეგროვილი წყალი გამოიყენებული იქნება ტერიტორიის მოსარწყავად. მდ ყვირილაში საწარმოო გამოყენებული წყლების და სანიაღვრე წყლების ჩაშვება არ მოხდება.

## 6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

## 7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ძირითადად ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი და ასევე ხელის შესადულებელი აპარატი (ცალობითი ელექტროდებით). ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი იწარმოებს მშრალი მეთოდით.

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი და ელ. შედურებისას შედულების აეროზოლის მანგანუმის დიოქსიდი

## 8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

როგორც წინა პარაგრაფებში იყო აღნიშნული, ქვის ხერხვა ხორციელდება სველი მეთოდით. 2014 წლის 6 იანვარის „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის No 42 დადგენილების მუხლი 41. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც არ ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობებისთვის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიში არ წარმოებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ხორციელდება ერთ საწარმოო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ სხვა საქმიანობებთან ერთობლივად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ბ) პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობასთან ერთად ხორციელდება იგივე საქმიანობები მშრალი მეთოდით;

ამის გათვალისწინებით არ გვიმსჯელია ქვის სველი მეთოდით ხერხვის დროს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, სამინისტროს მოთხოვნის გამო დამატებით მოვახდინეთ

გაფრქვევების გაანგარიშება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435 დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტის 93-ე დანართის თანახმად ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times m \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{წლიური}} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times L \times H \times m \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $b$  - განახერხის სიგანე, მმ;

$b$  - მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

$H$  - დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

$L$  - წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელი;

$m$  - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულებში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01-ის.

რაც შეეხება საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებას, რაც ითვალისწინებს ქვის ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნატეხების მსხვრევა-დახარისხებას სამსხვრევ დიანადგარში და სამი ფრაქციის ღორღის წარმოებას აღნიშნული საქმიანობის შედეგად ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში ინერტული მასალის არაორგანული მტვერის გამოყოფას.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა: არაორგანული მტვერი, შედუღების აეროზოლი და მანგანუმის დიოქსიდი.

ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2.

ცხრილი 2.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	ინერტული მასალის მტვერი	0,5	0,15	3
0115	შედუღების აეროზოლი	0,5		2
0143	მანგანუმის დიოქსიდი	0,01	0,001	2

სველი მეთოდით ხერხვა ხორციელდება საწარმოში განთავსებულ შემდეგი სახის დანადგარებზე ცხრილი N3

- ქვის საჭრელი დაზგა 1600 მმ - იანი დიამეტრის ხერხით - 1ც
- ქვის საჭრელი მრგვალხელხრა 1800მმ-იანი დიამეტრის ხერხი -3ც
- ქვის ჩამოსაგანი ჩარხი - 1 ცალი
- საპრიალებელი დაზგა -1 ცალი

ცხრილი N3

N	დასახელება	გამოყოფის წყაროს ნომერი
1	ქვის საჭრელი დაზგა 1600 მმ	500
2	ქვის საჭრელი მრგვალებელხრა 1800მმ-იანი	501
3	ქვის საჭრელი მრგვალებელხრა 1800მმ-იანი	502
4	ქვის საჭრელი მრგვალებელხრა 1800მმ-იანი	503
5	ქვის ჩამოსაგანი ჩარხი	504
6	საპრიალებელი დაზგა	505

**10. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში**

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“. აღნიშნული დოკუმენტის 93-ე დანართის თანახმად ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0,108 \times 10^{-4} \times b \times v \times H \times m \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{წლიური}} = 0,648 \times 10^{-6} \times b \times L \times H \times m \text{ ტ/წელ}$$

სადაც  $b$  - განახერხის სიგანე, მმ;

$v$  - მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

$H$  - დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

$L$  - წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელი;

$m$  - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულებში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0,01-ის.

მტვრის გაფრქვევის ანგარიში წარმოებს თითოეული ხერხისათვის. შედეგები მოცემულია



ცხრილში N4

გამოყოფის წყაროს ნომერი	წამური ინტენსივობა						წლიური ინტენსივობა							
	b	v	H	m	k	m	b	L	H	m	k	G		
500	0.108x10 <sup>6</sup>	10	30	1100	2.8	0.01	0.055	0.648x10 <sup>6</sup>	10	20000	1100	2.8	0.01	3.34
501		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	20000	1100	2.8	0.01	2.992
502		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	20000	1100	2.8	0.01	2.993
503		10	30	1100	2.8	0.01	0.0099		10	20000	1100	2.8	0.01	2.995
504		10	30	110	2.8	0.01	0.0999		10	1500	110	2.8	0.01	2.996
